საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №21
2021 წლის 6 აპრილი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს N515 ბრძანებით (სსმ III, №96, 04.08.2010, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.026.014932) დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ლ) სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილებას;".

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ნ", ,,ო" და ,,პ" ქვეპუნქტები:

„ნ) ფინანსური მართვისა და შესყიდვების განყოფილებას;

ო) კანცელარიას;

პ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას.".

3. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დირექცია შედგება დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეების, მთავარი სერჟანტის, იურისტის, სამხედრო მოძღვრის (კაპელანი), ექიმისა და ფსიქოლოგისაგან.''.

4. წესდებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 16^3, 16^4 და 16^5 მუხლები:

,,მუხლი 16^3. ფინანსური მართვისა და შესყიდვების განყოფილება

ფინანსური მართვისა და შესყიდვების განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) ლიცეუმის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით ბიუჯეტის პროექტის წინადადებების შეგროვებას, შეჯერებას, ანგარიშგებებისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადებას;

ბ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსური ოპერაციების წარმოებას და ფულადი სახსრების

კანონიერ ხარჯვას;

გ) შრომის ანაზღაურების, სამივლინებო და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და დარიცხვას;

დ) სახელმწიფო შესყიდვების პროცესის წარმართვას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16[4]. კანცელარია

კანცელარია უზრუნველყოფს:

ა) ლიცეუმის დოკუმენტაციის აღრიცხვას, წარმოებასა და შენახვას;

ბ) საარქივოდ მომზადებული სამსახურებრივი დოკუმენტების, საქმეების, წიგნებისა და ჟურნალების გადამოწმებას, მიღებას და დაარქივებას;

გ) ლიცეუმში შემოსული (გასული) საიდუმლო და მასზე განკუთვნილი არასაიდუმლო დოკუმენტაციის საქმისწარმოებას;

დ) ადგილზე დამზადებული და გასაგზავნი დოკუმენტაციის აღრიცხვას და ადრესატამდე დაგზავნას.

მუხლი 16[5]. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობას;

ბ) საპროტოკოლო ღონისძიებების გატარებას;

გ) ლიცეუმის კავშირგაბმულობის შიდა ქსელების მოწყობასა და მის გამართულ მუშაობას;

დ) კომპიუტერული ქსელების, სისტემების, ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას, მოწყობასა და მათ გამართულ მუშაობას;

ე) უცხოეთის სამხედრო და სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 6 აპრილიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ზურაბ აზარაშვილი**